№32 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 6 იანვრის №5/850 გადაწყვეტილება ქალაქ კასპში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე 200.00 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №67.01.51.103) და ქალაქ კასპში, ფარნავაზის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 61.00 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №67.01.51.151) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**